პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი — Боевой страж

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

შაბათი, 20 აგვისტო, 1988 წელი ● № 34 (3062) ● СУББОТА, 20 АВГУСТА 1988 г.

## ПРОВЕДЕНЫ СЕМИНАРЫ—СОВЕЩАНИЯ

13 АВГУСТА состоялись зональные семинары-совещания политработников, секретарей партийных и комсомольских организаций, рассмотревшие вопросы подготовки к проведению отчетно-выборной кампании.

На совещаниях отмечалось, что отчеты и выборы должны стать смотром партийных и комсомольских рядов, их авторитета и боевитости. На собраниях предстоит сделать глубокий анализ стиля, форм и методов деятельности, того, как каждый отдельный коммунист, комсомолец, служба, руководители органа и подразделения в целом перестраивают свою работу, повышают ответственность за порученное дело.

Особое внимание должно быть уделено дальнейшему усилению влияния коммунистов ОВД на улучшение деятельности профсоюзных и комсомольских организаций, совершенствованию подбора, расстановки и воспитания кадров, принципиальной оценке деятельности тех, кто работал безответственно, вполсилы, допускал нарушения дисциплины, открытой критике начальников служб, подразделений, которые плохо занимались вопросами воспитания подчиненных, не работали с молодыми сотрудниками.

На семинарах-совещаниях даны конкретные рекомендации по подготовке и проведению собраний. Отмечено, что в ходе отчетов и выборов следует уделить внимание совершенствованию структуры партийных и комсомольских организаций, создавать группы, как правило, в оперативных службах, а не в администрации, где их функционирование носит формальный характер.

Выборы должны носить демократический характер — с соблюдением свободы мнений, критики и самокритики, выдвижением нескольких кандидатов, открытым широким обсуждением их достоинств и недостатков, тайным голосованием при выборах. На собраниях серьезное внимание следует обратить на повышение роли партийных и комсомольских организаций в усилении взаимодействия служб и подразделений, авангардной роли членов КПСС и ВЛКСМ в борьбе за укрепление правопорядка и социалистической законности, обеспечение коллективной ответственности за результаты оперативно-служебной деятельности, состояние морально-психологического климата в коллективах. Необходимо сконцентрировать усилия коммунистов на практических делах по претворению в жизнь задач, поставленных партконференцией перед ОВД.

На семинарах-совещаниях были рассмотрены также вопросы подготовки к новому учебному году в системе политической учебы, особенностью которого является внедрение новых форм и подходов. Так, наиболее подготовленные сотрудники, в основном из числа тех, кто имеет высшее образование, будут заниматься в группах политических семинаров, менее подготовленные объединятся в политшколы.

Необходимо продумать все возможности для формирования групп по интересам, служебной направленности, следует учитывать национальный и языковый состав. В тех органах и подразделениях, где преобладают сотрудники той или иной национальности, необходимо создание группы, которая будет вести занятия на данном языке, причем, соответственно, заранее следует отобрать подготовленного пропагандиста.

На семинарах-совещаниях заострено внимание на проведении конкурса пропагандистов по теме: «Укрепление правовой основы советского общества», активизации в преддверии начала нового учебного года шефской работы в детских домах и школах-интернатах, других текущих вопросах партийно-политической работы.

### ЗАВТРА—ДЕНЬ ВОЗДУШНОГО ФЛОТА



ВЫСОКИХ показателей в оперативно-служебной деятельности постоянно добиваются помощник начальника дежурной части Грузинского УВДТ на транспорте майор милиции О. М. Шарашенидзе и начальник отделения уголовного розыска линейного отдела внутренних дел в аэропорту г. Тбилиси капитан милиции Р. Н. Харшиладзе. Их работу отличает добросовестное выполнение служебных обязанностей, отличное владение оперативной обстановкой на обслуживаемом участке, чуткое и внимательное отношение к нуждам и интересам граждан.

## მომავალზე ფიქრით

შს გორის რაიონული განყოფილების სახელმწიფო ავტოინსპექციის ქვეგანყოფილების პარტიულ ჯგუფში გაერთიანებულია ხუთი კომუნისტი. ეს ის ბირთვია, რომელზეც გადადის ქვეგანყოფილების მუშაობის ძირითადი სიმძიმე, ამიტომაც პარტიული ჯგუფის მუშაობას სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ახლახან პარტიულ ჯგუფში გაიმართა საანგარიშო-საარჩევნო კრება.

მომხსენებლის ანგარიშში და კომუნისტების გამოსვლებში გულახდილად აღინიშნა ყველა ის ნიუანსი, რომელმაც დიდმნიშვნელოვანი როლი ითამაშა რაიონის ავტოინსპექციის მუშაობის სტილის გარდაქმნაში.

უკვე ერთი წელი გავიდა, რაც ამ კოლექტივს სათავეში ჩაუდგნენ ახალგაზრდა ენერგიული მუშაკები, მილიციის უფროსი ლეიტენანტი გ. თუშიშვილი — ქვეგანყოფილების უფროსი, საგზაო საპატრულო სამსახურის უფროსი ინსპექტორი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი მ. როინიშვილი და ადმინისტრაციული პრაქტიკის ინსპექტორი, მილიციის ლეიტენანტი დ. კეკელაშვილი. ეს ის თანამშრომლებია ვინც წლების მანძილზე მთელი კოლექტივის თვალწინ იზრდებოდა, ამიტომაც მოხდა რომ დემოკრატიულ პრინციპებზე ჩატარებულმა არჩევნებმა ხელმძღვანელ თანამდებობებზე დანიშვნის საკითხი მათ სასარგებლოდ გადაწყვიტა. ამ ხნის განმავლობაში ქვეგანყოფილებაში გაუმჯობესდა დისციპლინა, ამაღლდა მინდობილი საქმისადმი თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა.

კრებაზე პრინციპული შეფასება მიეცა იმ ნაკლოვანებებს, რომლებიც ჯერ კიდევ შეიმჩნეოდა რაიონის სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაობაში, დაისახა მათი გამოსწორების გზები და კონკრეტული ვადები. კომუნისტებმა პარტიული ჯგუფის მუშაობა შეაფასეს დადებითად და შემდგომ საანგარიშო პერიოდში თავის პარტიულ ლიდერად აირჩიეს საგზაო—საპატრულო სამსახურის ინსპექტორი, მილიციის უმცროსი სერჟანტი გ. ქარქუზაშვილი.

კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და მისი შედეგები შეაჯამა საქართველოს კპ გორის რაიკომის პასუხისმგებელმა მუშაკმა რ. ჩხეიძემ.

**დ. მაღალაშვილი,**
გორის შს რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტნაწილში, მილიციის კაპიტანი.



## ურთიერთშეთანხმებული მუშაობისათვის

**აჭარის შს სამინისტროში ჩატარდა მორიგი კოლეგია, რომელზეც განხილულ იქნა საკითხი აჭარკოოპკავშირისა და ვაჭრობის სამინისტროს ობიექტებზე სახანძრო უსაფრთხოების მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.**

**სახელმწიფო** და საზოგადოებრივი საკუთრების დაცვა-განმტკიცებაში დიდი როლი განეკუთვნება ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების დროულად და ეფექტურად გატარებას. ყოველწლიურად ხანძრისაგან მიყენებული ზარალი ავტონომიურ რესპუბლიკაში ათიათასობით მანეთებით განისაზღვრება. ბევრი წარმოება-დაწესებულება, მატერიალურ ფასეულობათა შესანახი საწყობები და სათავსოები სახანძრო უშიშროების თვალსაზრისით ავარიულ მდგომარეობაშია. იმისათვის, რომ ვიხსნათ სახალხო სიმდიდრე განადგურებისაგან საჭიროა მეტი პასუხისმგებლობა, მეტი ოპერატიულობა, მაქსიმალური წინასწარი ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება, სახანძრო დაცვის დანაყოფების უწყებათა და წარმოება დაწესებულების ხელმძღვანელთა ურთიერთშეთანხმებული და გეგმაზომიერი მუშაობა. როგორც საქმიანობის სხვა სფეროში, აქაც დაგროვდა საკმაოდ ბევრი დღემდე გადაუჭრელი საკითხი, რომელიც დროული ზომების მიღებას ელოდება.

სწორედ ასეთ პრობლემებზე გაიმართა საქმიანი სჯა-ბაასი ამასწინათ აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა, ვაჭრობის სამინისტროსა და აჭარკოოპკავშირის გამგეობის გაერთიანებული კოლეგიის სხდომებზე, რომელიც მომზადდა და ჩატარდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით. კოლეგიაზე მოწვეული იყვნენ და ესწრებოდნენ დასახელებულ უწყებათა რესპუბლიკური, საქალაქო და რაიონული რგოლების ხელმძღვანელები. სავაჭრო ობიექტების პასუხისმგებელი მუშაკები, საქმთავარენერგოს აჭარის სამმართველოს წარმომადგენელი. შინაგან საქმეთა საქალაქო და რაიონული განყოფილებების უფროსები, მეხანძრეები. კოლეგიაზე წარმოდგენილ ერთობლივ მოხსენებაში და გამომსვლელთა საუბარში პირუთვნელად აღინიშნა იმ ნაკლოვანებების შესახებ, რომლებიც ხელს უშლიან სახანძრო უსაფრთხოების განმტკიცებას, მხილებული იქნა ხანძრის გამომწვევი პირობები. დასახული იქნა ამ მიმართულებით საქმიანობის გააქტიურების ღონისძიებები.

კოლეგიის სხდომაზე ვაჭრობის სამინისტროსა და აჭარკოოპკავშირის სისტემის ობიექტებში ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობისა და სახანძრო დაცვის დანაყოფების საქმიანობის შესახებ ინფორმაცია გააკეთა შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის განყოფილების უფროსმა, შინაგანი სამსახურის პოლკოვნიკმა ო. ცანცაძემ. სიტყვით გამოვიდნენ ქედის, შუახევის, ხულოს რაიონული, ჩაქვის მუშათა კოოპერატივების გამგეობათა ხელმძღვანელები. სახანძრო დაცვის ქვედანაყოფების უფროსები და სხვები. არსებულ მდგომარეობასა და მისი გაუმჯობესების გზებზე ილაპარაკეს ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ ჯ. ბარამიძემ, აჭარკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ თ. თურმანიძემ, კოლეგიის მუშაობა შეაჯამა შინაგან საქმეთა მინისტრმა, მილიციის პოლკოვნიკმა მ. ბეჟანიძემ.

კოლეგიის მუშაობაში მონაწილეობდა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ადმინისტრაციული, სავაჭრო-საფინანსო ორგანოების განყოფილების ინსტრუქტორი თ. ადამია.

**შ. ჯიბლაძე,**
აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საორგანიზაციო-საინსპექტორო განყოფილების უფროსი.

# მშობლის პოზიცია, რომელიც დასაგმობია

### ანუ პროფილაქტიკური მუშაობის კიდევ ერთი ასპექტის შესახებ

**პატივცემულო** მკითხველო! წერილის სათაური თავდაპირველად შეიძლება ძალიან მკაცრი მოგეჩვენოთ, მაგრამ ნუ ვიჩქარებთ, მოდით ბოლომდე ჩავყვეთ მოვლენებს და დასკვნაც ერთად გავაკეთოთ....

მოკლე ინფორმაცია ზესტაფონის შს რაიგანყოფილების ოპერატიული ცნობარიდან:

1988 წლის 14 ივლისს დაახლოებით 02 საათზე, ბოროტმოქმედთა მიერ კვალითის დასახლების ტერიტორიიდან გატაცებული იქნა მოქალაქის ავტომანქანა „ჟიგული". გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად რამდენიმე საათში დაკავებულ იქნენ დამნაშავეები კახა შოთას-ძე დანელია, დაბ. 1969 წელს, მცხ. ქ. ზესტაფონში, ლენინის ქ. № 87-ში და კახა არჩილის-ძე ხუსკივაძე, მცხ. ზესტაფონის რაიონის სოფელ ცხრაწყაროში.

მაშ ასე, კიდევ ერთ დამნაშავეთა ჯგუფის მოქმედებას დაესვა წერტილი და ჩვენი სათქმელიც შეიძლობოდა აქ დაგვემთავრებინა, მაგრამ რა ვუყოთ „მედლის მეორე მხარეს", რომელიც აუცილებელ ანალიზს ითხოვს?

ცოტა რამ დამნაშავეთა ბიოგრაფიიდან:

კ. დანელია, მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობისათვის 1986 წელს იქნა გასამართლებული და საპატიმრო ადგილიდან მხოლოდ თხუთმეტიოდე დღის წინ განთავისუფლდა...

კ. ხუსკივაძე ჯერ კიდევ არასრულწლოვანია, მაგრამ საზოგადოებას თავი გააცნო, როგორც გამოუსწორებელმა დამნაშავემ, დაახლოებით ერთი თვის წინ გაასამართლა იგი ზესტაფონის სახალხო სასამართლომ ავტომანქანის გატაცებისათვის და სასჯელის ზომად ორი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მაგრამ საბჭოთა მართლმსაჯულების ჰუმანური მოსაზრებით არ შეუფარდა აღმკვეთი ღონისძიება და სასჯელის აღსრულება გადაუვადა. მოზარდს მისცეს იმის საშუალება, რომ დაეგმო თავისი წარსული და სალი თვალით შეეხედა მომავლისათვის, მაგრამ ნათქვამია „კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო", მხოლოდ ერთი თვე ეყო „საგზლად" ხუსკივაძეს რჩევადარიგებები, რომელიც არც ადმინისტრაციულმა ორგანოებმა და არც საზოგადოებამ არ დაიშურა მისი მისამართით.

შვილის არასწორ მოქმედებაზე მოქხეული მათრახი ყოველთვის მშობელს ხვდება და ალბათ თქვენც ფიქრობთ, რომ დამნაშავეთა მშობლებს უყურადღებობასა და შვილების მიმართ უკონტროლობაზე ვუკიჟინებთ მხოლოდ, ეს ნაწილობრივ ასეც არის, რადგან შოთა და ქუქუნა დანელიებმა, არჩილ და გალინა ხუსკივაძეებმა (ეს უკანასკნელი განათლებით პედაგოგია და წლების განმავლობაში სკოლაში მოღვაწეობდა) კარგად იცოდნენ თავიანთი შვილების ხასიათი, დანაშაულებრივი მიდრეკილებები და საინტერესოა, როგორ ეძინათ მშვიდად, როცა მათი შვილები ღამეებს შინ არ ათევდნენ, მაგრამ ეს მხოლოდ მათი პოზიციის ნაწილია, მთავარი სწორედ დანაშაულის ღამეს გამოიკვეთა. როდესაც ზემოთ დასახელებულ პირებზე ეჭვი იქნა მიტანილი მილიციის მუშაკების მიერ, ორივე პიროვნება ბინაზე გადამოწმდა. ცხადია ღამით არცერთი მათგანი სახლში არ აღმოჩნდა და მშობლებს მეტი რაღა დარჩენოდათ, აღიარეს — არ ვიცით სად არიანო.

დილის 7 საათზე მილიციის მუშაკებმა კვლავ შეამოწმეს ისინი ბინებზე, და უმთავრესიც სწორედ მაშინ მოხდა: კახა ხუსკივაძის დედამ გ. ხუსკივაძემ შემმოწმებელს განუმარტა, რომ მისი შვილი მთელი ღამე სახლში იყო, თურმე სახლის მეორე სართულზე ძინებია და მან კი არ იცოდა. გალინა ხუსკივაძეს არც ქუქუნა დანელია ჩამორჩა, „ალალმართალი" შვილისათვის ალიბის შექმნაში და განმარტა, რომ გამთენიისას კახამ ვიღაც გოგონა მიაცილა სახლამდე, მთელი ღამე ერთად ყოფილან, ეხლა დაღლილია და ისვენებსო. უფრო მეტიც, იგი დაემუქრა მილიციის მუშაკებს, რომ თავიანთი მოქმედებით შანტაჟს უწყობდნენ მის შვილს, მუზობლებში სახელს უტეხდნენ მისი ოჯახის პატიოსნებას და ამიტომ იჩივლებდა ზემდგომ ორგანოებში. ბევრი სალანძღავი სიტყვების მოსმენაც მოუხდათ დამნაშავეთა მშობლების მხრიდან მილიციის მუშაკებს იმ ღამინდელი ვიზიტების დროს, რომლებიც გააფთრებით ცდილობდნენ როგორმე გადაერჩინათ თავიანთი „უდანაშაულო შვილები", მაგრამ განყოფილების თანამშრომლები არ წამოეგნენ მათ ცრუ ჩვენებებზე, შანტაჟზე და სოციალისტური კანონიერების მოთხოვნათა დაცვით თავიანთი საქმე ლოგიკურ ბოლომდე მიიყვანეს.

წერილის დასასრულს ხუსკივაძის, დანელიას და კიდევ ბევრ მათ მსგავს მშობელთა გასაგონად ხმამაღლა ვაცხადებთ, რომ ასეთი პოზიცია დასაგმობია, სწორედ ასეთმა დამოკიდებულებამ მიიყვანა კვლავ დამნაშავის სკამთან მათი შვილები. სწორედ ამ საკითხის ადრეული და ჯეროვანი განმარტება შს ორგანოების თანამშრომელთა მხრიდან ზოგიერთ „ვაიმშობელთათვის", ჩვენი პროფილაქტიკური მუშაობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად უნდა იქცეს. ამ მოთხოვნის ცხოვრებაში რეალურად გატარების აუცილებლობას კიდევ ერთხელ გვიკარნახებს ზემოთ მოყვანილი ფაქტი.

**რ. კობახიძე,**
ზესტაფონის შს რაიგანყოფილების უფროსი, მილიციის პოდპოლკოვნიკი.

## ПОСЛЕ ВЫСТУПЛЕНИЯ ГАЗЕТЫ

**В ОДНОМ из июньских номеров нашей газеты был опубликован фельетон под названием «Письмо невезучего человека», в котором говорилось о растянувшемся на многие годы решении жилищного вопроса участкового инспектора Цхинвальского РОВД капитана милиции О. Капанадзе. Недавно редакция получила официальное письмо, в котором начальник Цхинвальского РОВД майор милиции Н. Кумаритов сообщает, что решением Цхинвальского райисполкома от 27 мая 1988 г. № 6/23 О. Капанадзе выделен земельный участок площадью в 0, 15 га на обслуживаемой им территории (из пахотных земель Кехвского колхоза).**

**В настоящее время указанное решение утверждено облисполкомом Юго-Осетии. Редакция газеты «Боевой страж» выражает надежду на то, что соответствующие представители местных органов власти примут все надлежащие меры по скорейшему воплощению в жизнь этого решения, положив тем самым конец многолетним мытарствам участкового инспектора.**

## СОВЕТСКАЯ МИЛИЦИЯ

**ВЫШЕЛ в свет очередной, седьмой в нынешнем году номер журнала «Советская милиция», который открывается материалом «Быть политическим организатором» —о работе состоявшегося недавно в Москве совещания политработников системы Министерства внутренних дел СССР.**

**Под заголовком «Бдительность — оружие без осечки» в номере публикуется материал, в котором речь идет о необходимости строгого соблюдения служебной и государственной тайны, внимательного отношения к служебной документации, приводятся конкретные факты имеющихся в этом плане недостатков. Проблемы наставничества анализируются в статье заместителя начальника Грозненского РОВД по политчасти подполковника внутренней службы А. Рубанова.**

**Несомненный интерес для читателей представляют фоторепортаж о работе группы работников правоохранительных органов, которую возглавляет старший следователь по особо важным делам при Генеральном прокуроре СССР старший советник юстиции Т. Гдлян, беседа участников «круглого стола» о сфере кооперативной и индивидуально- трудовой деятельности, статья под заголовком «Штурм» — о трагедии, разыгравшейся в результате захвата террористами в марте нынешнего года самолета «Аэрофлота», и другие материалы.**

## ТОЛЬКО ФАКТЫ

**◆ 27 июля в г. Дманиси сотрудниками РОВД задержан В. С., инвалид 2-й группы, у которого изъято 162 шт. головок опийного мака.**

**◆ 11 августа сотрудниками отдела УБХСС МВД ГССР совместно с сотрудниками ОБХСС Кировского РОВД г. Тбилиси уличена Н. Я., секретарь отделения языка и литературы Президиума Академии наук ГССР, которая у Т. Г. выманила в виде взятки 5500 руб. за содействие в урегулировании вопроса зачисления дочери последней через должностных лиц в ГПИ на химический факультет. Деньги в размере 4000 руб. изъяты.**

## 14 АВГУСТА ОТМЕЧАЛСЯ ДЕНЬ СТРОИТЕЛЯ

**СВОЙ профессиональный праздник строители встретили в обстановке развернувшейся во всех сферах жизни советского общества революционной перестройки.**

**В число наиболее важных и ответственных задач, стоящих перед строителями МВД ГССР, входит обеспечение оптимальных условий труда и быта сотрудников милицейских подразделений республики, создание предпосылок для их полноценного отдыха, укрепление индустриальной базы СМУ, помощь городским строительным организациям в решении жилищной проблемы и многое другое.**

**Несмотря на ряд недоработок, приведших к сбоям в выполнении плановых заданий полугодия, немало удалось сделать по этим направлениям отделу капитального строительства министерства (начальник — майор в/с Н. Маргвелашвили) за истекший период. Так, недавно сдан 54-х квартирный дом для сотрудников МВД по ул. Горгасали, введен в эксплуатацию полигон железобетонных изделий мощностью 1000 кубометров железобетона в год в Гачиани, построен животноводческий комплекс для совхоза МВД ГССР «Мухровани», в четвертом квартале нынешнего года строители планируют завершить работу по строительству нового административного здания МВД ГССР, в это же время состоится передача сотрудникам ОВД нового здания райотдела в Кобулети, заканчиваются монтажные работы на очистных сооружениях Ксани.**

**Однако забот у строителей не уменьшается. На следующий год они планируют ввод в строй базы спецподготовки сотрудников министерства круглогодичного действия, санатория в Боржоми, начало строительства пансионата «Пицунда» и завершение работ в новом здании Амбролаурского РОВД.**







**НА СНИМКАХ: отлично трудятся на сооружении нового здания МВД ГССР мастер З. Биркадзе (в центре), рабочие Ш. Кокинашвили, Г. Хуцураули, П. Исаков; работы на стройке близятся к завершению; макет пансионата в Пицунде.**

# შეხვედრა „ავღანელებთან"

**15 აგვისტოს დასრულდა საბჭოთა ჯარების ავღანეთიდან გამოყვანის პირველი ეტაპი. ამ დროისათვის ჯარების პირადი შემადგენლობის ნახევარი დაუბრუნდა სამშობლოს. ავღანეთის 32 პროვინციიდან საბჭოთა ჯარები მხოლოდ 10-ში დარჩა. ჟენევის ხელშეკრულების თანახმად ჯარების გამოყვანა 1989 წლის 15 თებერვლამდე გასტანს. გაერთიანებული ერების ექსპერტების შემოწმებიდან ჩანს, რომ საბჭოთა კავშირი შეთანხმებულ გრაფიკს აბსოლუტური სიზუსტით იცავს.**

**უშუალო** და თბილი განწყობილება სუფევდა ამ დღეს საქართველოს სსრ სატრანსპორტო შს სამმართველოში, იმ დღეს აქ მოეწვიათ ისინი, ვინც ინტერნაციონალური პრინციპების ერთგული იყო და დარჩა კიდეც ბოლომდე. მათ მამაცობასა და საქმის სიყვარულზე მეტყველებს ის მედლები, რომლებიც ომის ამ ახალგაზრდა „ვეტერანებს" მკერდს უმშვენებს.

შეხვედრის ორგანიზატორებმა: სამმართველოს პოლიტგანყოფილების უფროსმა, მილიციის პოდპოლკოვნიკმა გ. მორბედაძემ, სამმართველოს უფროსის მოადგილემ, მილიციის პოდპოლკოვნიკმა ა. ლომინაშვილმა, კადრების განყოფილების უფროსმა, მილიციის მაიორმა ჯ. გორგიაშვილმა და პარტიული კომიტეტის მდივანმა, მილიციის მაიორმა მ. მოსულიშვილმა ყველა ღონე იხმარეს, რათა შეხვედრას გულთბილი, კონკრეტული და ამავე დროს პრობლემატური სახე ჰქონოდა, დიახ, პრობლემატური, რადგანაც ჯერ კიდევ არის პრობლემები და სწორედ მათი გადაჭრის ერთობლივი ღონისძიებები იქნა იმ დღეს დასახული. შესაბამისი რაიონების პარტიულ ხელმძღვანელობასთან გაკეთდა ოფიციალური მოთხოვნა ინტერნაციონალისტების ბინით პირველ რიგში დაკმაყოფილებაზე, (ამას კანონის ის მრავალრიცხოვანი შეღავათი ითვალისწინებს, რომელიც მებრძოლ ინტერნაციონალისტებს გააჩნიათ). ზოგიერთი პარტიული და საბჭოთა ორგანო იგნორირებას უკეთებს ამ შეღავათს და მრავალ მოთხოვნას, მაგრამ იმედი გვინდა გამოვთქვათ, რომ ამ შემთხვევაში ეს ასე არ იქნება.

აი, ისინიც, ვისთვისაც ეს შეხვედრა ერთ-ერთ დაუვიწყარ დღედ დარჩება ცხოვრებაში: სადგურ კელასურის შს სახაზო განყოფილების უბნის ინსპექტორი, მილიციის ლეიტენანტი რ. კალანდია; ბათუმის შს სახაზო განყოფილების სისხლის სამართლის სამძებროს ოპერრწმუნებული, მილიციის ლეიტენანტი ზ. ბაჯელიძე; თბილისის აეროპორტის შს სახაზო განყოფილების თანამშრომელი, მილიციის ზემდეგი ნ. პაპიაშვილი; სოხუმის აეროპორტის შს სახაზო განყოფილების სამორიგეო ნაწილის მორიგე, მილიციის ლეიტენანტი ე. დარსალია.

შეხვედრის დასასრულს ახალგაზრდა თანამშრომლებს გადაეცათ საჩუქრები.

**ს. ალავიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მათთვის სეზონი უკვე გაიხსნა

**20-27 აგვისტოს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იხსნება 1988-89 წლის სანადირო სეზონი.**

„მაინც რა მოხდა ასეთი, რა მნიშვნელობა აქვს მწყერს სეზონის გახსნამდე რამოდენიმე დღით ადრე მოკლავ თუ სეზონის გახსნის შემდეგ?"

სწორედ ასეთი კითხვა დაუსვეს ქ. თბილისის მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებასთან არსებული ბუნების დაცვის სექციის წევრებს მორიგი რეიდის დროს, როდესაც მათ შრომა-გამოსწორების სამმართველოს № 123/44 დაწესებულების უფროსის მოადგილე წარმოების დარგში მ. კაბისაშვილი დააკავეს მძღოლ ვ. ხიზანიშვილთან ერთად. სამსახურის მანქანით „უაზ-469" სახელმწიფო ნომერი —15-53 გაგ. მათ ნადირობის ტრადიციული სახე „დაივიწყეს" და მწყერს ბადისა და ფარნების საშუალებით იჭერდნენ.

ხოლო ის, რაც მოხდა კასპის რაიონის სოფელ ნოსტეში, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. რეიდის მონაწილეების წინაშე თითქმის მთელი სოფელი „ალსდგა" და ერთ-ერთ მონაწილეს ფიზიკური შეურაცხყოფაც კი მიაყენეს. მისკენ მოქნეული მჭედლის ჩაქუჩი ალბათ უბედურებასაც დაატრიალებდა, რომ არა სარეიდო ჯგუფის წევრის გ. ნიქარაძის სწრაფი რეაქცია.

შემდეგ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც კოშმარულ სიზმარში. ამ დებოშის წამომწყები ჯ. ხიზამბარელი, რომელიც „გაზ 53-"ის სახელმწიფო ნომერი — 26-17 გაუ, მძღოლია ყოველგვარი დაფიქრების გარეშე ცდილობდა, როგორც შემდეგ იტყვის „მანქანით გადაევლო" რეიდის მონაწილეებისათვის. ალბათ შემთხვევითობას და ადამიანის თვითგადარჩენის ინსტიქტს შეიძლება დავაბრალოთ ის რომ, იმ დღეს ნოსტეში ტრაგედია არ დატრიალდა.

რეიდის წევრებმა განყოფილების მორიგეს, მილიციის უფროს ლეიტენანტს ტ. ქენქაძეს ჩააწერინეს მომხდარი ამბის შესახებ, მან კი ხელმძღვანელობას არ მოახსენა ეს და არც შემდეგი დღის მორიგეს, მილიციის უფროს ლეიტენანტს რ. გულიკაშვილს გადასცა წინა დღის ცნობები.



მეორე დღეს, რაიგანყოფილების ხელმძღვანელობამ მომხდარის შესახებ არა იცოდა რა. განყოფილების უფროსმა, მილიციის პოდპოლკოვნიკმა გ. ნიორაძემ და განყოფილების უფროსის მოადგილემ პოლიტდარგში, მილიციის მაიორმა გ. გოჭოშვილმა გულისყურით მოისმინეს მომხდარი ფაქტის შესახებ და საქმე მოსაკვლევად გადასცეს მილიციის უფროს ლეიტენანტ რ. გულიკაშვილს. განყოფილების ხელმძღვანელობის შემდგომი რეაგირებისა და შედეგების შესახებ ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში გაცნობებთ.

**ბ. ძორძაძე,**

**ქ. თბილისის მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებასთან არსებული ბუნების დაცვის სექციის თავმჯდომარე.**

**ს. ალავიძე.**

**რედაქციისაგან:**

**აქ ალბათ შეიძლებოდა წერტილის დასმაც, მაგრამ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ამ კონკრეტული რაიონის მაგალითზე ყველა რაიონის განყოფილების ხელმძღვანელობას შევახსენოთ: ერთიორად გაამახვილონ ყურადღება სანადირო იარაღის აღრიცხვისა და შენახვის, მისი გამოყენების, სანადირო სეზონის ვადების უხეშად დარღვევისა და საკოლმეურნეო ბაზრებზე ნანადირევით ვაჭრობის ფაქტებზე. რეიდი გრძელდება...**

**დაკანონებული** წესები სისხლსა და ხორცში უნდა ჰქონდეთ გამჯდარი სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკებს. უბრალო, ელემენტარული წესია, რომ როცა ვაჩერებთ ამა თუ იმ საგზაო მოძრაობის წესების დამრღვევ მძღოლებს ან და უბრალოდ შემოწმების დროს გაჩერებულ ავტომანქანის, მოტოციკლის, ავტობუსის და საერთოდ მოძრავი შემადგენლობის საჭესთან მჯდომ ადამიანს, ალბათ საჭიროა გარკვეული წესების დაცვით მათთვის მიმართვა...

მაგრამ ალბათ ჩვენი მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ძალიან ხშირად ეს ასე არ ხდება.

მოდით, პატარა ექსკურსი ჩავატაროთ ქალაქში და თვალი გავადევნოთ ზოგიერთი ავტოინსპექტორის საქმიანობას.

... სულ ნახევარი საათიც არ დაგვჭირდა, რომ ელემენტარული წესების დამრღვევი ავტოინსპექციის წარმომადგენელი გვენახა. ფაქტები სამწუხაროდ ბევრი აღმოჩნდა, მაგრამ ამჟამად ერთ მათგანზე შევჩერდებით.

7 ივლისს, 13 საათსა და 15 წუთზე, გულიას ქუჩაზე, მტკვრის მარცხენა სანაპიროსთან ავტოინსპექტორმა გააჩერა დამრღვევი მძღოლი (ავტომანქანა „მოსკვიჩი") და ყოველგვარი წესების დარღვევით მიმართა მძღოლს, — აბა შენი „პრავა" მომეცი! საუბარი სულ რამოდენიმე წუთს გაგრძელდა, მძღოლი წავიდა. მილიციის მუშაკმა, რომელიც მოტოციკლზე „იჯდა (როგორც ეს ამ სურათზეა დაფიქსირებული) გააჩერა ავტომანქანა „ჟიგული" და მძღოლს გვარისა და წოდების დაუსახელებლად ისევ „პრავა" მოსთხოვა. როგორც საუბარში გაირკვა დამრღვევ მძღოლს არ აღმოაჩნდა მინდობილობა. ისიც მოკლე საუბრის შემდეგ „თავისუფალი" აღმოჩნდა. მოტოციკლის

**„მებრძოლი გუშაგის"**
**რეიდი**

## რატომ ირღვევა ელემენტარული წესები?!

გვერდზე ვიდექი და ყველაფერს ვხედავდი.

— სად მუშაობ? — მკითხა ავტოინსპექტორმა.

— ტაქსის მძღოლი ვარ და ველოდები მეგობარს — ვუპასუხე მე.

— ხო! იმიტომაც გაქვს ნაცნობი სახე.

— კი მაგრამ რა გააკეთა იმ დამრღვევმა მძღოლმა, — შევეკითხე წესრიგის დამცველს.

— რა და ხიდზე გადაკვეთა ლერძულა ხაზი და თანაც მანქანას მართავდა მინდობილობის გარეშე.

— ალბათ საწყალ ბიჭს საბუთები ჩამოართვი არა?

— არა, ცოდო იყო, 3 მანეთით დავაჯარიმე, — მიპასუხა მან და იქვე მომავალი „ერაზი" გააჩერა.

— კარგად ვერ მუშაობთ, — ვუთხარი მას და განვაგრძე გზა.

შეიძლება ეს ფაქტიც არ გამოგვეტანა საერთო სამსჯავროზე, მაგრამ რა ვქნათ იგივე განმეორდა ისევ იმ ავტოინსპექტორის მიერ მეორე დღეს, როცა მივლინებით მივემგზავრებოდი საგარეჯოში. 8 ივლისს დაახლოებით 14 საათსა და 10 წუთზე იგივე თანამშრომელმა, ვისი გვარიც არ ვიცით, თუმცა რა საჭიროა მისი გვარი, როცა მის ვინაობას ადასტურებდა სამკერდე ნიშანი — № 0337 და ეს ფოტოები.

ჩვენ ისევ მივეცით შენიშვნა ავტოინსპექტორს, მან ბოდიში მოგვიხადა და ამით დამთავრდა ყველაფერი. იმედია იგი მოქალაქეებთანაც ასევე თავაზიანი იქნება.

ჩვენი მკითხველი დაგვეთანხმება, რომ რაც უფრო თავაზიანად და კულტურულად მივმართავთ წესების გინდაც ყველაზე უხეშად დამრღვევ მძღოლს, ამით უფრო მაღლა ავწევთ ჩვენი მუშაკის სახელს და ავტორიტეტს, უფრო მეტი თავშეკავება ექნება იმ ადამიანს, ვისაც ჩვენ ხანდახან მკაცრად ვსჯით. მაშინ ჩვენც უფრო მორიდებით და პატივისცემით მოგვეპყრობიან.

**გ. მგალობლიშვილი**





# БЛАГОДАРНОСТЬ МАТЕРИ

**ПЕРЕВОСПИТАНИЕ** осужденных в исправительно-трудовых учреждениях — процесс непростой, требующий от сотрудников ИТУ зрелого уровня профессионального мастерства, чуткости, чувства высокой ответственности за результаты своей работы, от которой во многом зависят дальнейшие судьбы людей, находящихся в местах лишения свободы.

Именно эти качества отличают работу сотрудников учреждения, где начальником подполковник внутренней службы Д. Бацашвили. Свидетельством тому — строки письма, полученного нами от матери бывшего осужденного В. Мащенко, отбывавшего наказание в данном ИТУ: —

«Я хочу поблагодарить сотрудников этого учреждения, — пишет Маргарита Викторовна Мащенко, — за чуткое, гуманное отношение к моему сыну. Они помогли ему твердо встать на ноги, научили трудиться. Большое им материнское спасибо. Не переходя границы дозволенного, эти люди помогали нам, родственникам и хорошими советами, и своими делами. Благодарна я начальнику учреждения Д. А. Бацашвили, подполковнику внутренней службы В. И. Климнашвили, сотрудникам Майе Бабунашвили, Гии Картозия и многим другим.

Почаще бы нам в жизни встречались такие сердечные люди!»

**К 70-ЛЕТИЮ УГОЛОВНОГО РОЗЫСКА**

# ПО СЛЕДУ ОБОРОТНЕЙ

**Этой статьей мы открываем на страницах нашей газеты новую рубрику, под которой будут публиковаться материалы, посвященные 70-летию создания службы уголовного розыска. В них будет рассказываться об истории службы, ее лучших представителях и ветеранах ОВД республики, о наиболее интересных делах, раскрытых сотрудниками уголовного розыска в прошлые годы, их сегодняшней повседневной работе по укреплению правопорядка и социалистической законности.**

**ДЕЛО**, о котором пойдет речь в данном материале, было, по признанию многих участвовавших в его раскрытии сотрудников УУР МВД ГССР, одним их самых сложных в их богатой розыскной практике. В течение нескольких месяцев 1987 и 1988 годов на территории Грузии был зарегистрирован ряд разбойных нападений на квартиры граждан. Причем, несмотря на то, что нападения происходили в разных, порой значительно удаленных друг от друга местах, — в Тбилиси, Имеретии, Кахетии, Джавахети и других регионах республики, — почерк действий преступников не оставлял сомнений в том, что орудует одна и та же группа.

Действовали преступники дерзко и в то же время довольно осторожно. Психологически точно просчитывая реакцию граждан, они проникали в их квартиры под видом... сотрудников милиции. Действительно, кому придет в голову, что к нему домой явились оборотни — другого слова не подберешь — в милицейской форме, которая раскрывала перед ними все двери. Под угрозой огнестрельного оружия они отбирали вещи, ценности, в случае сопротивления избивали граждан. До трагедии, к счастью, дело не дошло — видимо, чувствуя, несмотря на свою осторожность, неотвратимость наказания, преступники не шли на крайние меры.

Те, кто помнит фильм под названием «Оборотни» из популярного телесериала, посвященного работе советской милиции, в котором описывалась аналогичная ситуация, могут легко представить себе, какие проблемы встали перед сотрудниками уголовного розыска республики. Не удивительно поэтому, что принимаемые органами внутренних дел меры долгое время не давали положительных результатов. Тем не менее, своевременно пресечь преступную деятельность банды было крайне важно — ведь она могла своими действиями посеять панику, вызвать недоверие населения к сотрудникам милиции.

Учитывая особую опасность преступлений и сложность дела, было решено для его скорейшего раскрытия скоординировать работу территориальных органов и подразделений внутренних дел. С этой целью под руководством заместителя начальника УУР МВД ГССР полковника милиции Н. Цкриалашвили была создана специальная оперативно-следственная группа, в состав которой вошли заместитель начальника отдела управления подполковник милиции А. Алашвили, старшие оперуполномоченные майор милиции М. Маруашвили, капитан милиции Б. Волквадзе, заместитель начальника СУ МВД ГССР полковник милиции Г. Наненишвили, следователь майор милиции Т. Цикаридзе и другие опытные сотрудники министерства.

С этого момента розыскные мероприятия приобрели более целенаправленный характер, осуществлялись одновременно во всех регионах республики. К работе по розыску преступников подключились работники ОБХСС, УГАИ, экспертно-криминалистического отдела, других служб министерства, представители общественности.

Было опрошено более сотни свидетелей, проведено множество экспертиз и опознаний, определен круг ранее судимых, которые могли совершить аналогичные преступления, отработано несколько десятков версий. В результате картина преступлений становилась все более четкой, пополнялась ранее неизвестными деталями.

— Сложность работы заключалась еще и в том, что как выяснилось впоследствии, все члены банды были ранее судимы, многие из них неоднократно, знали юридические нормы, были знакомы с некоторыми методами работы милиции, — рассказывает один из активных участников проведенных розыскных операций подполковник милиции А. Алашвили, — тем не менее было установлено, что при организации нападений преступники используют «одолженные» у населения автомашины, перепрятывают награбленное друг у друга с тем расчетом, чтобы сбить с толку сотрудников милиции, не дать им в руки вещественные доказательства, выяснены другие важные для розыска и следствия детали.

Однако все эти ухищрения только ненадолго отдаляли неизбежный финал. Установив в результате проведенных мероприятий, на основе собранной информации особенности почерка преступной группы, сотрудники милиции смогли предвидеть их возможные действия. Соответствующие указания были разосланы в местные ОВД, и в результате трое из разыскиваемых преступников недавно были задержаны в городе Цхалтубо при попытке очередного ограбления. Дальнейшим расследованием были установлены и обезврежены и остальные члены банды — всего 8 человек, вместе с главарем — Б. Г., ранее отбывавшим срок наказания за разбойное нападение. Нетрудно представить, сколько энергии, мужества и профессионального мастерства понадобилось, чтобы без потерь задержать вооруженных бандитов.

У преступников были изъяты семь единиц огнестрельного оружия — пистолеты систем «Наган», «Вальтер», «Маузер», «Браунинг» и т. д. с боеприпасами к ним, ножи, форма сотрудника милиции, аккредитивы на сумму 24 тысячи рублей и серебряные украшения на сумму 50000 рублей, 3 видеомагнитофона, 7 дубленок импортного производства, бриллиантовые кольца и другие награбленные вещи 113 наименований.

Так успешно завершилась одна из сложнейших операций, в ходе которой сотрудниками уголовного розыска республики раскрыто всего 17 совершенных бандой разбойных нападений. К уголовной ответственности привлечено 13 человек, которые в скором будущем, по окончании следствия, предстанут перед судом и понесут, надо полагать, заслуженное наказание.

**А. ЦАТУРОВ**

ПРАЗДНИК СПОРТА НА СТАДИОНЕ «ДИНАМО»

# В ВЫИГРЫШЕ— ВСЕ УЧАСТНИКИ

**МНОГОЧИСЛЕННЫЕ** спортивные мероприятия были проведены в День физкультурника отделом физподготовки и спорта министерства. В центре внимания зрителей, наблюдавших состязания на тбилисском стадионе «Динамо», была товарищеская встреча по различным видам спорта сотрудников аппарата министерства и представителей КГБ СССР.

Хорошо выступила в плавательной эстафете 8Х50 метров команда МВД ГССР, отставшая от соперников после пяти этапов, но все-таки добившаяся победы. В перетягивании каната победили представители комитета госбезопасности, полным было их преимущество и в футбольном матче, где они добились победы со счетом 10:1. Отличный результат в блиц-турнире по шахматам — 9 очков из 9 возможных — показал кандидат в мастера спорта начальник секретариата УИТУ МВД ГССР старший лейтенант внутренней службы В. Давиташвили. На очко отстал от него подполковник Т. Дилибазашвили, третье место занял инспектор УГАИ МВД ГССР капитан милиции А. Мишвелидзе. Все эти результаты, конечно, условны— ведь в итоге в выигрыше оказались все участники соревнований, получившие возможность хорошо отдохнуть, набраться сил и бодрости перед трудовой неделей.

Помимо отмеченных соревнований в этот день на стадионе «Динамо» состоялись показательные выступления по гиревому спорту и атлетической гимнастике, была организована сдача нормативов по физподготовке военнослужащих внутренних войск, кросс на 3 км, встреча по футболу сборных команд отдела пожарной охраны УВД г. Тбилиси и Харьковского пожарно-технического училища и другие интересные мероприятия.

А. ЛЬВОВ

Фото Г. МГАЛОБЛИШВИЛИ



**НА СНИМКАХ:** во время спортивного праздника на стадионе «Динамо».

# ОТ АФИН ДО СЕУЛА

**Менее месяца осталось до торжественного открытия XXIV летних Олимпийских игр в Сеуле. Этой публикацией мы открываем серию материалов об истории зарождения и развития международного олимпийского движения, подготовленных ветераном войны и труда С. Масалкиным.**

**ИСТОРИЯ** сохранила человечеству немало легенд о возникновении в древней Греции, а точнее в Олимпии — небольшом городке в Северо — Западном Пелопоннесе, традиции спортивных соревнований, получивших название Олимпийских игр. Первая же исторически достоверная запись об Олимпийских играх относится к 776 г. до н. э.

Олимпийские игры были заметным явлением в общественно-политической и экономической жизни древнегреческих городов-государств. В дни игр в Олимпию направлялись из всех полисов не только участники состязаний, но и государственные и общественные деятели, ученые, философы, музыканты, поэты и художники. На время спортивного праздника в Греции устанавливался «священный мир», и ни одно государство не имело права нарушить его. С начавшимся упадком греческого общества Игры постепенно утратили свое значение, и прошли века, прежде чем люди заговорили о необходимости возродить прекрасную традицию грандиозных спортивных празднеств.

Предложения о возобновлении греческих Олимпиад вносились еще в конце XVIII века. Естественным было стремление спортсменов к организации международных состязаний, но оно наталкивалось на целый ряд трудностей, в частности, на отсутствие единых, обязательных для всех правил. Лишь к концу XIX века возникли объективные условия для создания международных спортивных объединений. Одним из инициаторов возрождения Олимпийских игр стал французский педагог, генеральный секретарь Союза французских спортивных обществ Пьер де Кубертен.

На состоявшемся в конце июня 1894 г. в Париже международном спортивном конгрессе представителями 34 стран (в том числе, России) было принято решение провести I Олимпийские игры в 1896 г. в Афинах, а в дальнейшем, по традиции, существовавшей у древних греков, проводить их раз в четыре года.

В программу I Олимпийских игр конгресс включил легкую атлетику, гимнастику, фехтование, плавание, поднятие тяжестей, борьбу, стрельбу, парус, греблю, велосипедный и конный спорт, теннис, крикет.

(Продолжение следует).

# Объявляется конкурс

**ПОЛИТИЧЕСКИМ управлением МВД СССР объявлен конкурс рефератов среди пропагандистов системы политической учебы личного состава органов внутренних дел по материалам XIX Всесоюзной конференции КПСС.**

**В соответствии с примерным положением о конкурсе, в целях обеспечения изучения материалов партконференции, повышения роли руководителей групп системы политической учебы в пропаганде и разъяснении, ее решений и мобилизации личного состава на их выполнение, в АВГУСТЕ-СЕНТЯБРЕ в системе МВД ГССР проводится конкурс на лучший реферат, подготовленный пропагандистами по теме: «УКРЕПЛЕНИЕ ПРАВОВОЙ ОСНОВЫ СОВЕТСКОГО ОБЩЕСТВА».**

**Основными критериями оценки рефератов будет считаться качество отражения в них задач, поставленных партконференцией, преобразований, происходящих в стране, разъяснения политики партии и правительства, умение увязать тему с задачами, стоящими перед каждым конкретным коллективом, отображением роли сотрудников-слушателей в их выполнении.**

**Результаты первого этапа конкурса будут подведены в горрайлинорганах, в подразделениях, и лучшие рефераты до 25 сентября должны быть направлены в конкурсные комиссии МВД, УВД, ГУВДТ (по подчиненности).**

**Результаты второго этапа должны быть подведены в МВД, УВД, ГУВДТ, и лучшие рефераты (не более 2-х) не позднее 1 октября должны быть представлены в комиссию МВД ГССР.**

**Победители конкурса будут представлены к награждению МВД СССР и МВД ГССР, а положения лучших рефератов будут включены в методические рекомендации по программе политучебы на 1988-1989 учебный год.**

**(Соответствующее указание разослано в подразделения МВД ГССР).**

**ПОЛИТИЧЕСКИЙ ОТДЕЛ МВД ГССР.**

## „მხედრული"
## თელაველებთან

**ახლახან** თელავის სახელმწიფო თეატრში, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის კულტურის სახლის ხალხური ცეკვის ანსამბლმა „მხედრულმა" რაიონის მშრომელებს გაუმართა კონცერტი, მაყურებელი დიდხანს უკრავდა ტაშს და კარგა ხანს არ უშვებდა სცენიდან ჩვენს მსახიობებს.

მრავალ ფესტივალში გამარჯვებული ანსამბლის ცეკვებს მსოფლიოს ბევრი ქვეყანა იცნობს. ჩვენს მოცეკვავეებს მორიგი ასეთი ტურნე 21 აგვისტოდან ექნებათ იტალიაში, სადაც საგასტროლოდ გაემგზავრებიან.

ბ. ახალმოსულიშვილი.

მებრძოლი გუშაგი — Боевой страж

## ОБЪЯВЛЯЕТСЯ ПОДПИСКА НА ГАЗЕТУ «БОЕВОЙ СТРАЖ»

Подписка проводится среди личного состава органов и подразделений внутренних дел (милиции, пожарной и вневедомственной охраны, ИТУ, учебных подразделений МВД), а также среди работников партийных, советских, профсоюзных и комсомольских органов, суда и прокуратуры, пенсионеров МВД, членов ДНД, добровольного противопожарного общества, общественных пунктов охраны порядка, оперативных комсомольских отрядов, пожарной и пожарно-сторожевой охраны.

Подписка оформляется только местными отделениями агентства «Союзпечать» через общественных распространителей газеты, выделенных в горрайорганах и подразделениях.

Подписная цена на год — 3 руб. 12 коп.

Редакция просит своевременно провести подписку на газету, пополнить ряды её читателей.

Индекс издания 66639. Подписка продолжается до 1 ноября 1988 года.

## ცხადდება ხელმოწერა გაზეთ „მებრძოლ გუშაგზე"

ხელმოწერა ვრცელდება შინაგან საქმეთა ორგანოების და ქვედანაყოფების პირად შემადგენლობაზე (მილიციის, სახანძრო და არასაუწყებო დაცვის, შრომა-გამასწორებელი დაწესებულებების, შს სამინისტროს სასწავლო ქვედანაყოფების) აგრეთვე პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების, სასამართლოების და პროკურატურების, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების, წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების, ოპერატიულ-კომკავშირული რაზმეულების, სახანძრო—საგუშაგო დაცვის მუშაკებზე, შს სამინისტროს პენსიონერებზე.

ხელმოწერა საქალაქო, რაიონულ, სახაზო განყოფილებებსა და ქვედანაყოფებში გამოყოფილ გაზეთის საზოგადოებრივი გამავრცელებლების მიერ ფორმდება მხოლოდ „სოიუზპეჩატის" ადგილობრივ განყოფილებებში.

წლიური ხელმოწერის ფასია 3 მანეთი და 12 კაპიკი.

რედაქცია გთხოვთ დროულად ჩაატაროთ ხელმოწერა გაზეთზე — შეავსოთ მისი მკითხველთა რიგები.

გამოცემის ინდექსი—66639. ხელმოწერა გრძელდება ა. წ. 1 ნოემბრამდე.

ჩვენი მისამართია: თბილისი, 380064, გოგოლის ქ. №23, ტელეფონები:
НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064. УЛ. ГОГОЛЯ, 23 ТЕЛЕФОНЫ: 95-66-72; 99-1-41-24.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსზე. ხოშარაულის 29.

უე — 00309

რედაქტორი ა. კობალაძე